

საქართველოს სახელით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის

გადაწყვეტილება №1/5/1630

2025 წლის 4 ივნისი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი.

სხდომის მდივანი: სოფია კობახიძე.

საქმის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები – ევა მამრიკიშვილი და მიხეილ შარაშიძე; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა და ლევან ლავთაძე; საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი ლანა ცანავა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალური საგამომიებო სამსახურის გამომიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი ამირან გულუაშვილი.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1630) მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №1/1/1630 საოქმო ჩანაწერით, №1630 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად იქნა მიღებული. №1630 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2024 წლის 6 და 7 ივნისს.

2. №1630 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი



3. „ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებად განისაზღვრება, ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით, ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი.
4. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა“.
5. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოქალაქემ 2020 წლის 12 თებერვალს განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩატარების საკითხის შესწავლას შეეხებოდა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად დგინდება, რომ მის მიმართ 2019 წლის 7 აგვისტოდან 2019 წლის 7 სექტემბრამდე პერიოდში ფარული საგამოძიებო მოქმედების – ფარული ვიდეოჩაწერისა და ფოტოგადაღების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გაიცა 2019 წლის 7 აგვისტოს 11:50 საათზე. სახალხო დამცველის განმარტებით, განმცხადებლის მიმართ ფარული მეთვალყურეობა დაიწყო და მიმდინარეობდა 2019 წლის 7 აგვისტოს 10:00 საათიდან. 2019 წლის 7 აგვისტოს, 10:00 საათიდან 11:50 საათამდე პერიოდში, განმცხადებლის მიმართ ფარული მეთვალყურეობის მიმდინარეობაზე არ არსებობს სასამართლოს განჩინება. განჩინება გაცემული არ ყოფილა არც ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების დაწყებამდე და არც მოგვიანებით მიუმართავს პროკურატურას სასამართლოსთვის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების კანონიერად ცნობის თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნულ პერიოდში სასამართლო კონტროლის გარეშე განხორციელებული ფარული თვალთვალი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.
6. მოსარჩელე მხარის განმარტებით, პირის შესახებ ცნობების შეგროვება და მისი ვიზუალური კონტროლი საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენს, რა დროსაც დაცული უნდა იყოს პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის ფორმალური გარანტიები. ამდენად, პირის მიმართ აღნიშნული ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების განხორციელებისას უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, რაც, მოგვიანებით, აგრეთვე ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.
7. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებების, ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის განხორციელებისათვის საკმარისია მხოლოდ პროკურორის დავალების არსებობა და ის არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან რაიმე თანხმობას. „ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ოპერატიულ საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელების ზოგად ვალდებულებაზე მიუთითებს. უშუალოდ როგორც, რა მეთოდით და ოპერატიული საქმიანობის რა მასშტაბზე ვრცელდება სასამართლო კონტროლი, კანონით დაკონკრეტებული არ არის, რაც აღნიშნული ოპერატიული ღონისძიების სასამართლოს გვერდის ავლით განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მოსარჩელის განმარტებით, ხაზგასასმელია ისიც, რომ უშუალოდ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების განხორციელების კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებში მოხსენიებული არ არის სასამართლოს განჩინება, რომლის გაცემის შემდგომაც შესაბამისი ორგანო იქნებოდა უფლებამოსილი, დაეწყო ოპერატიული საქმიანობა.
8. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, „ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის სავალდებულოდ ადგენს წინასწარ ან შემდგომ სასამართლო კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ვიზუალური კონტროლი, როგორც ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიება, შესაძლებელია განხორციელდეს ოპერატიულ-ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რაც



არ გამორიცხავს ელექტრონული საშუალებით თვალყურის დევნებას, რომელიც ფარული საგამომიებო მოქმედების ფარგლებში გამოყენებადი ერთ-ერთი ღონისძიების – ელექტრონული თვალყურის დევნების მსგავსი ღონისძიებაა. ამდენად, მოსარჩელე მხარის განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს, სადავო ნორმაზე დაყრდნობით, შეუძლია, სასამართლოს ბრძანების გარეშე განახორციელოს ფარული საგამომიებო მოქმედებების მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე, სასამართლო კონტროლის პირობებში ხორციელდება. შესაბამისად, კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავსი შინაარსის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მზღლუდავ ღონისძიებებს, რომლებიც, ერთ შემთხვევაში საჭიროებს სასამართლოს წინასწარ ნებართვას ან შემდგომ ლეგიტიმაციას, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ამგვარი მოწესრიგება, მოსარჩელის პოზიციით, ქმნის პირის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი და არაპროპორციული ჩარევის საფრთხეს.

9. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ცნობების შეგროვება არ გულისხმობს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის შეგროვებას, არამედ იგი იძლევა პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობასაც, რომლის მიმართაც მას აქვს პრივატულობის განცდა (მაგ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და ა.შ.) მოსარჩელე მხარე იმაზეც მიუთითებს, რომ კონკრეტული მიზნით პირის შესახებ საჯარო ინფორმაციის შეგროვება, რომელიც შესაძლებელია, მის მიმართ გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში, არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და საჭიროებს სასამართლო კონტროლს.

10. მოსარჩელე მხარის განმარტებით, საჯარო სივრცეში გადაადგილებისას მართალია, ქუჩებში განთავსებული ვიდეოკამერები პირებს აფიქსირებს, თუმცა აღნიშნული პროცესის მიზანი არ არის უშუალოდ კონკრეტულ პირზე დაკვირვება, განსხვავებით ვიზუალური კონტროლისგან, რომელიც ცალკეული პირის მიმართ მიზანმიმართულად ხორციელდება. ამდენად, სადავო ღონისძიება რადიკალურად განსხვავდება საჯარო სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით პირებზე დაკვირვებისაგან.

11. მოსარჩელე მხარე ვიზუალურ კონტროლს ფოტოგადაღების იდენტურ ღონისძიებად მიიჩნევს. მისი განმარტებით, პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსივობის კუთხით მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტული პირის გადაადგილება ან მისი მოქმედებები ფოტოზე იქნება აღბეჭდილი თუ ვიზუალური კონტროლის შედეგად, შესაბამის ოქმში იქნება ასახული. ამდენად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ვიზუალური კონტროლის განხორციელება მოითხოვს სასამართლო კონტროლს.

12. მოსარჩელე მხარის განმარტებით, საუწყებო და საპროკურორო კონტროლი, რომელიც ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, ვერ იქნება სასამართლო კონტროლის ალტერნატივად განხილული, რადგან მხოლოდ მიუკერძოებელი სასამართლო წარმომადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტს. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ქმნის შესაძლებლობას, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა მოხდეს კონსტიტუციური გარანტიების უგულვებელყოფით. ამდენად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასამართლოს ნებართვის გარეშე უშვებს ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნას და იგი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

13. მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების განმარტებით, ის ღონისძიებები, რომლებიც ხასიათდება პირად ცხოვრებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობით, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ტარდება ფარული საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები არ იწვევს პირად ცხოვრებაში იმგვარ ჩარევას, რომელიც შესაძლოა, საჭიროებდეს სასამართლო კონტროლს.

14. მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ ცნობების შეგროვება მოიცავს საჯაროდ არსებული ინფორმაციის გამოთხოვას, მაგალითად, პირის საცხოვრებლის დადგენას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ცნობის გამოთხოვას შესაბამისი სააგენტოსგან და ა.შ. მოპასუხე მხარის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიების დროს არ ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება ან ისეთი



ინფორმაციის გამოთხოვა, რომელიც ზოგადად საჭიროებს სასამართლოს ნებართვას. ელექტრონული მოწყობილობიდან ინფორმაციის მოხსნა ვერ იქნება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ნაწილი, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში.

15. მოპასუხე მხარის განმარტებით, პრაქტიკაში ვიზუალური კონტროლი ყოველთვის ხორციელდება საჯარო სივრცეში, სადაც პირს ვერ ექნება პრივატულობის გონივრული მოლოდინი. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ფიქსაციის, ვიდეო-აუდიოჩაწერის ან/და ფოტოგადაღების შესაძლებლობას. ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით ვიზუალური კონტროლის განხორციელება გულისხმობს თვალთვალს იმგვარი მოწყობილობებით, რომლებსაც არ აქვს ფიქსაციის ფუნქცია და არ წარმოადგენს ელექტრონულ საშუალებას. მაგალითად, ვიზუალური კონტროლი შესაძლებელია, განხორციელდეს ე.წ. ბინოკლის გამოყენებით, რათა უკეთესად მოხდეს კონკრეტულ სუბიექტზე დაკვირვება. იმ შემთხვევაში, როდესაც ფარული თვალთვალის დროს ხდება კონკრეტული პიროვნების გადაღება ან მისი საუბრის ჩაწერა, ელექტრონული თვალყურის დევნება, აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც სავალდებულო წესით საჭიროებს სასამართლო ნებართვას.

16. ამდენად, მოპასუხე მხარის განმარტებით, კანონმდებლობით ცხადად არის ერთმანეთისგან გამიჯნული ფარული საგამოძიებო მოქმედებები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისგან. „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ საქართველოს კანონი არ იძლევა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფარული საგამოძიებო მოქმედების მსგავსი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას. შესაბამისად, ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის დროს განხორციელებული მოქმედებები ხასიათდება პირად ცხოვრებაში ჩარევის დაბალი ინტენსივობით, რომელიც არ მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო კონტროლის არსებობას.

17. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეულმა საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა, საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა ამირან გულუაშვილმა დააზუსტა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მისი განმარტებით, იმ პირის მიმართ, რომელზეც მოსარჩელე მხარე აპელირებს, ერთდროულად მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება (ვიზუალური კონტროლი) და ფარული საგამოძიებო მოქმედება (ფოტო-ვიდეოგადაღება). წარმომადგენლის განმარტებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით, საქმეში წინასწარ გაცემული განჩინება უკვე არსებობს, რომელიც იმავე პირს ეხება და იმავე ვადით მოქმედებს, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება (ვიზუალური კონტროლი). ამდენად, მისი განმარტებით, პირის ვიდეოგადაღება მოხდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, რომლის თაობაზეც არსებობდა სასამართლოს ნებართვა.

18. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკაში, რომელიც ცალსახა და თანმიმდევრულია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში არასდროს ხდება ფოტოგადაღება, ვიდეო ან აუდიოჩაწერა. ზემოაღნიშნული ღონისძიებები ყოველთვის ხორციელდება სასამართლოს ნებართვით ან პროკურორის დადგენილებით, რომელიც ექვემდებარება შემდგომ სასამართლო კონტროლს. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ფოტოგადაღება და ვიდეო-აუდიო ჩაწერა წარმოადგენს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც სავალდებულოდ მოითხოვს სასამართლოს კონტროლს და მოწესრიგებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის არცერთი ნორმა არ განმარტება იმგვარად, რომ იგი იძლეოდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფოტოგადაღების ან/და ვიდეო-აუდიოჩაწერის შესაძლებლობას.

19. რაც შეეხება ვიზუალურ კონტროლს ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ელექტრონული საშუალებებით მანიპულაციები რეგულირდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტრონული საშუალების გამოყენებით დისტანციურად და ფარულად ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც მოიპოვება ინფორმაცია, ამგვარი ღონისძიება ყოველთვის ფარულ საგამოძიებო მოქმედებად მიიჩნევა და გამოიყენება მასთან დაკავშირებული საპროცესო-სამართლებრივი რეგულირებები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში გამოყენებული ტექნიკური



საშუალებები მოიცავს ნებისმიერ მოწყობილობას, რომელიც ობიექტზე უკეთ დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა (მაგ., ე.წ. ბინოკლი) და ხელს უწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას. ამდენად, წარმომადგენლის განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ვერ მოხდება ისეთი ტექნიკური საშუალების გამოყენება, რომელიც მიმართულია ჩაწერისკენ, გადაღებისკენ, თვალყურის ელექტრონულად დევნებისაკენ.

20. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ვიზუალური კონტროლი, აღნიშნული ღონისძიების ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან რთულია განხორციელდეს არასაჯარო სივრცეში, მაგალითად, კერძო ბინაში. ყველა შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება საჯარო სივრცეში ადამიანის გადაადგილების დროს.

21. ამირან გულუაშვილის განმარტებით, გასაჩივრებული ღონისძიებების (ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის) ერთ ქვეპუნქტში მოთავსება განპირობებულია იმით, რომ ხშირად ცნობების შეგროვება სწორედ ვიზუალური კონტროლის დროს ხდება. თავისი არსით, ვიზუალური კონტროლის პრაქტიკაში განხორციელება შეიძლება, სპეციფიკურ ინფორმაციას საჭიროებდეს ოპერატიული სამსახურისათვის, რაც პროკურორისა და გამომძიებლისთვის არ იყოს ცნობილი. ეს შეიძლება იყოს საცხოვრებელი მისამართის დადგენა, ავტომობილის მფლობელის გადამოწმება. იმისთვის, რომ საგამომძიებო ორგანომ დაამტკიცოს კონკრეტული ადამიანი იყენებს თუ არა ავტომობილს, შეიძლება საჭირო გახდეს ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა ოფიციალური წყაროებიდან. წარმომადგენლის განმარტებით, „კრიმინალისტიკურ წყაროში“ შესაძლებელია, იგულისხმებოდეს თითის ანაბეჭდის გადამოწმება მონაცემთა ბაზაში. „ოპერატიულ-სამძებრო წყაროში“ იგულისხმება სხვა სამართალდამცავ უწყებაში პირის შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გზით სამართალდამცავებს შეიძლება მოეპოვებოდეთ.

22. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ცნობების შეგროვების ოპერატიული სამძებრო ღონისძიება გულისხმობს ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, რომლის გაცემაც ოფიციალური გზით არის შესაძლებელი, სასამართლო კონტროლის გარეშე. ინფორმაციის ოფიციალური მოპოვება გულისხმობს პროკურორის დავალებით ინფორმაციის იმგვარად მოპოვებას, რომელიც არ არის შენიღბული რაიმე ფორმით. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მოხდეს შესაბამისი დაწესებულებისთვის წერილის გაგზავნის გზით ან მონაცემთა ბაზაში ოპერატიული მუშაკის მიერ შესაბამისი მომხმარებელით ოფიციალურად შესვლის გზით. მოწვეული წარმომადგენლის განმარტებით, ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროში იგულისხმება სამსახურებრივი ბაზები, სახელმწიფო ორგანოები და შესაძლებელია, კერძო ორგანიზაციებიც, ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინებით.

23. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა გამორიცხა სადავო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობა. მისი განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვისთვის საჭიროა თავად ამ პირის თანხმობა ან სასამართლოს განჩინება. სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი ბაზა, სადაც იგი ინახავს ყველა ადამიანის ვიზიტს ექიმთან. თუ კონკრეტული საქმის პირობებში ამგვარი საჭიროება გაჩნდა, უარის შემთხვევაში, ასეთი ინფორმაციის გამოთხოვა ხდება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. ასევე, მისი მითითებით, დაუშვებელია აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში მოხდეს ვიდეოკამერებით დაფიქსირებული ჩანაწერების ამოღება. მისი განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში, რომელიც საჭიროებს სასამართლოს ნებართვას.

24. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის ლანა ცანავას განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასთან (ვიზუალური კონტროლი) ერთად ფარული საგამომძიებო მოქმედების (ფოტოგადაღების, ვიდეოჩაწერის) ჩატარების აუცილებლობას განაპირობებს რამდენიმე გარემოება. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ვიზუალური კონტროლის დროს პრაქტიკაში არასდროს მომხდარა ფოტო-ვიდეოგადაღება, აღნიშნულის შესაძლებლობას არ იძლევა კანონმდებლობა. ფარული საგამომძიებო მოქმედების ფარგლებში კი არ ხდება ვიზუალური კონტროლი, იგი მოიცავს მხოლოდ ფოტო ან/და ვიდეოგადაღების და არა პირის თვალთვალის შესაძლებლობას. იმავდროულად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში, მხოლოდ ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ვერ ქმნის გამამტყუნებელი განაჩენისთვის საჭირო მტკიცების



სტანდარტს. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებები, რიგ შემთხვევაში, განაპირობებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა (ვიზუალური კონტროლი) და ფარული საგამოძიებო მოქმედების (ფოტოგადაღება, ვიდეოჩაწერა) ერთდროულად განხორციელების საჭიროებას.

25. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ცნობების შეგროვება შესაძლებელია მოხდეს კონსპირაციის წესების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიზანია, არავინ გაიგოს კონკრეტული პირის მიმართ მსგავსი ღონისძიების განხორციელების შესახებ, შესაძლებელია, საჯარო უწყებამ სხვა საჯარო უწყებას გაუგზავნოს საიდუმლო წერილი და აღნიშნული იყოს კონსპირაციის ფორმა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მისი განმარტებით, ინფორმაციის გამოთხოვა ხდება ღიად.

26. ლანა ცანავას განმარტებით, ზოგადად, საჯარო სივრცეში პირს არ შეიძლება ჰქონდეს პრივატულობის გონივრული მოლოდინი. იგი მიიჩნევს, რომ ვიზუალური კონტროლის დროს, რომელიც ხორციელდება საჯარო სივრცეში, ელექტრონული თვალყურის დევნების გარეშე, საერთოდ არ ხდება ჩარევა პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით ხელშეუხებლად არის გამოცხადებული პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონცეფცია ძალიან ფართოა და შეუძლებელია აღნიშნული უფლების შემადგენელი კომპონენტების ამომწურავი განმარტება. პირადი ცხოვრების უფლების მასშტაბურობის, მრავალკომპონენტურობის მიუხედავად, ძირითადი არსი, რომელიც განაპირობებს მის მნიშვნელობას თითოეული ადამიანისთვის, მდგომარეობს ინდივიდის შესაძლებლობაში, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, განსაზღვროს საკუთარი ინტერესები და მოთხოვნილებები, თავისუფლად მოახდინოს საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, სურვილების, გემოვნებისა თუ არჩევანის რეალიზაცია. იმავედროულად, ეს უფლება უზრუნველყოფს ადამიანების თვითგამოხატვას მათთვის სასურველ და მისაღებ სოციუმში – საკუთარი შეხედულებისამებრ წარმოჩნდნენ საზოგადოებაში, ჩამოაყალიბონ და განავითარონ ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, სასურველ პირთა წრესთან სასურველ თემებზე სასურველი ქცევით, მანერით, ლექსიკით დაამყარონ კომუნიკაცია. მათთვის სასურველი ან საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მხოლოდ კონკრეტულ პირს (პირებს), აირჩიონ თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე სურთ კომუნიკაცია. თავად განსაზღვრონ გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა, დრო და ინტენსივობა.

2. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი სახელდებით ჩამოთვლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეულ უფლებრივ კომპონენტებს და ადგენს მათი დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიებს. დასახელებული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას. აღსანიშნავია, რომ მოცემული დავის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დებულების ამომწურავი, სრულყოფილი განმარტების საჭიროების წინაშე. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მხოლოდ წინამდებარე დავისთვის რელევანტურ უფლებრივ კომპონენტზე.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ანონიმურობას/პრივატულობას უზრუნველყოფს. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით გათვალისწინებულ პირად სივრცეში იგულისხმება პირის კერძო სფერო (სივრცე), კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, ბინა, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა – ეზო, ავტოფარეხი, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის განკუთვნილი სხვა ნაგებობები, ასევე, დროებითი სამყოფელი – სასტუმროს ნომერი, კარავი და სხვ.), სადაც პირს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ არ იქნება მესამე პირების დაკვირვების ქვეშ. აღნიშნულ სივრცეში მოიაზრება განსაზღვრულ სუბიექტთა წრესთან ურთიერთობაც, ვისაც პირი ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, ასევე პირად სივრცეში არსებული ინფორმაცია, რომელთა ანონიმურობა და



ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში განსაჯაროებაც სურს პირს. კერძო, პირად სივრცეს (სფეროს) ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ იგი დაცული იქნება ამ სივრცეში ნებისმიერი ფორმით იმ პირების ინტერვენციისგან, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). პირადი ცხოვრების ზემოაღნიშნული უფლებრივი კომპონენტების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს სათანადო კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების გარეშე ეკრძალება, პირის ნების საწინააღმდეგოდ შევიდეს, მათ შორის, ფარული მეთოდებით, მის კერძო სივრცეში, უკანონოდ, სათანადო საფუძვლების არარსებობის პირობებში ჩაატაროს ადამიანის, მისი სხეულის, ტანსაცმლისა თუ პირადი ნივთების შემოწმება/ჩხრეკა.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული კომუნიკაციის ხელშეუხებლობით დაცულია როგორც უშუალოდ პირისპირ საუბარი, ისე ვერბალური/ზეპირი და წერილობითი ურთიერთობა ნებისმიერი ტექნიკური საშუალების (ტელეფონის/მობილურის, კომპიუტერის), ასევე კომუნიკაციისათვის განკუთვნილი აპლიკაციების/ინტერნეტ-პროგრამების (მაგალითად, ე. წ. მესენჯერი, ელექტრონული ფოსტა, და სხვ.) გამოყენებით (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). ადამიანებს აქვთ უფლება, მათთვის სასურველი ან საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მხოლოდ კონკრეტულ პირს (პირებს) ანუ აქვთ უფლება, აირჩიონ თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე სურთ კომუნიკაცია. ამ შემთხვევაში კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების მიზანი არის, დაიცვას პირებს შორის, ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის, თავისუფალი კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობა. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გულისხმობს ორ ასპექტს - ერთი მხრივ, სახელმწიფოს თვითნებური ჩარევით კომუნიკაცია არ უნდა შეწყდეს, იგი უნდა შედგეს და გაგრძელდეს სახელმწიფოს კონტროლისგან თავისუფალ პირობებში და მეორე მხრივ, კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ფარული მიყურადებისა და ჩაწერის გარეშე. ამდენად, პირადი ცხოვრების ზემოაღნიშნული უფლებრივი კომპონენტის უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას კომუნიკაციის კონფიდენციალურობა სხვადასხვა სიტუაციაში, მიუხედავად იმისა, რა ფორმითა თუ საშუალებით იქნება იგი განხორციელებული და სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების გარეშე ეკრძალება, მათ შორის, ფარული ფორმებით, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

5. იმავდროულად, სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, ცხადია, გულისხმობს არა მხოლოდ გაცვლილი ინფორმაციის დაცულობას, არამედ, მათ შორის, ადამიანების იმ არჩევანის ანონიმურობასაც, კონკრეტულად ვისთან, როდის, რა საშუალებით, სად და რა ხანგრძლივობით აქვთ კომუნიკაცია. პირადი ცხოვრების ზემოაღნიშნული უფლებრივი კომპონენტების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების გარეშე ასევე ეკრძალება, დააწესოს კონტროლი, ვისთან, როდის და რა ინტენსივობით შედგა ასეთი კომუნიკაცია (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25, საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

6. „ადამიანის უფლება, იარსებოს საზოგადოებისგან დამოუკიდებლად წარმოადგენს პიროვნების არსებობისათვის აუცილებელ ფაქტორს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და



საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5). „უფლება პირად სივრცეზე ქმნის შესაძლებლობას, ადამიანმა საზოგადოების, ნებისმიერი მესამე პირის, სახელმწიფოს ჩართულობის, კონტროლის, შესაბამისად, მათთვის ანგარიშის გაწევის საჭიროების გარეშე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, თავისუფლად შექმნას მისთვის სასურველი გარემო“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).

7. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული კონსტიტუციური დებულების ძირითადი არსი პირადი ცხოვრების იმ სფეროების გამჟღავნებისგან დაცვაა, სადაც ან/და რომლის მიმართაც პირს პრივატულობის განსაკუთრებული და გონივრული მოლოდინი გააჩნია. პირადი ცხოვრების ის სფერო, რომელსაც ადამიანი მხოლოდ პრივატულ სივრცეში გამოხატავს, უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან. ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე გახდებოდა პერსონალური ავტონომიურობის საეჭვობის პირობებში. მნიშვნელოვანია, ადამიანებს გარანტირებულად ჰქონდეთ შესაძლებლობა, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებისა და ნების შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლისგან/დაკვირვებისგან თავისუფალ პირობებში, სივრცეში განავითარონ საკუთარი პიროვნება, ურთიერთობები მხოლოდ მისთვის სასურველ პირებთან, მისთვის მისაღებ თემებსა თუ საკითხებზე, მისთვის სასურველი ფორმითა თუ მანერით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10, 11).

8. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. თუ ადამიანებს აქვთ შიში ანონიმურობის სიმყიფისა, თუკი ისინი ცხოვრობენ იმ შეგრძნებითა და განცდით, რომ მათი პირადი სივრცე/კომუნიკაციის შინაარსი ხელმისაწვდომია მესამე პირებისათვის, ისინი, საკუთარი ნებით, თავს შეიკავებენ მათთვის მოსაწონი ფორმითა თუ მანერით აზრის გამოხატვაზე, კონკრეტული ქცევის განხორციელებაზე და, ზოგჯერ შესაძლებელია, საერთოდ უარი თქვან ამგვარ ქცევაზე თუ სხვებთან კომუნიკაციაზე. ამა თუ იმ გარემოში ყოფნა და ადამიანებთან კომუნიკაცია იმ შეგრძნებით, რომ ეს სივრცე და კომუნიკაცია სულაც არ არის ანონიმური, მაღალი ალბათობით, თავისთავად ცვლის პირის ქცევას, კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ფორმასა და შინაარსს, რაც ხელს უშლის პირს, თავისი შეხედულებით წარმართოს თავისი პირადი ცხოვრება, იყოს არასასურველი საჯაროობისაგან თავისუფალი და ფიქციად აქცევს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობას.

9. ამგვარად, დასახელებული კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის შესაძლებლობისთვის ადამიანებს უნდა გააჩნდეთ მყარი საკანონმდებლო გარანტიები, რამაც უნდა უზრუნველყოს ძალიან მყარი შეგრძნება ანონიმურობის, ადამიანების ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე, მათი პირადი სივრცის ხელმიუწვდომლობისა ნებისმიერი მესამე მხარისთვის, სახელმწიფოს ჩათვლით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოში მოქმედი სამართალი და სახელმწიფოს შესაბამისი ქმედებები ადამიანებს უნდა უქმნიდეს რწმენას, რომ მათი პირადი სივრცე რეალურად არის დაცული და ისინი არ გახდებიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან ამ სივრცეში თვითნებური ჩარევის მსხვერპლნი. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული უფლების მნიშვნელობისა და დანიშნულების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულები როგორც ქმედითი ნორმატიული სივრცის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში აღსრულების უზრუნველყოფისთვის, ისე ინდივიდების პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან ცალკეული



თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ინტერვენციის გამორიცხვის თვალსაზრისით.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში, სახელმწიფოს, სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების გარეშე, ეზღუდება პირის პირადი ცხოვრების ისეთ სფეროში ინტერვენცია, რომლის მიმართაც პირს აქვს ანონიმურობისა და ხელშეუხებლობის განსაკუთრებული ინტერესი და ლეგიტიმური მოლოდინი. სახელმწიფოს მიერ, პირის ნებისგან დამოუკიდებლად, მის კერძო, პირად სივრცეში ღია ან ფარული ინტერვენციის გზით, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევას, რომლის მართებულობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს ამავე პუნქტის დებულებების საფუძველზე.

2. სადავო ნორმის შინაარსისა და შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

11. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩამონათვალს. განსახილველ საქმეზე აღნიშნული პუნქტის სადავოდ გამხდარი „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას წარმოადგენს ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ ვიზუალური კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს ვიდეოჩაწერის, აუდიოჩაწერის და ფოტოგადაღების გზით. აღნიშნულზე, მისი განმარტებით, მიუთითებს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ვიზუალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს, სადავო ნორმაზე დაყრდნობით, შეუძლია, სასამართლოს ბრძანების გარეშე, განახორციელოს ფარული საგამომიებო მოქმედებების მსგავსი ღონისძიებები. ამავდროულად, მოსარჩელე მხარის მითითებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ცნობების შეგროვება არ გულისხმობს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის შეგროვებას, არამედ იგი იძლევა პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რომლის მიმართაც მას აქვს პრივატულობის განცდა (მაგ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და ა.შ.). ამდენად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ვიზუალური კონტროლი და ცნობების შეგროვება, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის ან შემდგომი კონტროლის პირობებში.

12. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის შინაარსს განსაზღვრავს იმის მიხედვით, რა ფარგლების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა იგი კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში. ნორმის არაკეთილსინდისიერი წაკითხვის პირობებში, მისი კანონის ნამდვილი შინაარსისა და მისი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ გამოყენება არ შეიძლება გახდეს საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ სადავო ნორმას შესაბამისი ნორმატიული შინაარსი გააჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს კანონშესაბამიანობის გამოვლენა და მისი აღმოფხვრა, იგი განიხილავს ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმა, კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, იძლევა თუ არა იმგვარი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. სადავო ნორმის შინაარსისა და ფარგლების სრულყოფილი გაანალიზებისთვის, იგი უნდა განიმარტოს სხვა, მასთან კავშირში მყოფ ნორმებთან სისტემური გაანალიზების გზით. ამისათვის მნიშვნელოვანია, განისაზღვროს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სადავო ღონისძიების დანიშნულება და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მასშტაბი, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ზოგადად ამ სფეროს, ისე ფარული საგამომიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობა. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სადავო ნორმის შინაარსის/მისგან მომდინარე უფლების შეზღუდვის ფარგლების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასება.

13. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა



დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველყოფისთვის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად განსაზღვრავს, ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით, ცნობების შეგროვებასა და ვიზუალურ კონტროლს.

14. ზემოაღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დამოუკიდებელ ღონისძიებებს წარმოადგენს და, შესაბამისად, სხვადასხვა მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლო გამოარკვევს, რა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილებას ითვალისწინებს ვიზუალური კონტროლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. როგორც მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, ვიზუალური კონტროლის დროს შესაძლებელია მოხდეს პირის ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მისი ფარული ვიდეო-აუდიოჩაწერა ან/და ფოტოგადაღება.

15. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, ვიზუალური კონტროლი არის ოპერატიული თვალთვალი, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. ზემოაღნიშნული სადავო ღონისძიებების თაობაზე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი დამატებით განმარტებას არ იძლევა.

16. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა, ფოტოგადაღება და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, წარმოადგენს ფარული საგამომძიებო მოქმედების სახეს. ამასთანავე, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვიზუალური კონტროლის განმარტებისას, მიუთითებს ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობაზე და არსად არ უთითებს ელექტრონული თვალყურის დევნების შესაძლებლობაზე. აღნიშნულის მიღმა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის არც ერთი დებულება არ მიუთითებს ფოტოგადაღების, აუდიო-ვიდეოჩაწერის ან/და ელექტრონული თვალყურის განხორციელების შესაძლებლობაზე. ამ მხრივ, საყურადღებოა 2014 წლის პირველ აგვისტოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, მთელი რიგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ასახვა მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ფარული საგამომძიებო მოქმედებების სახით. აღნიშნულ ცვლილებამდე, ფარული ვიდეო-აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, ამავდროულად, ცალკე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად განისაზღვრებოდა ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი, რომელიც ხორციელდებოდა, მათ შორის, ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. შესაბამისად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი საკანონმდებლო ცვლილებამდე ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს განსხვავებულ ოპერატიულ ღონისძიებებად განსაზღვრავდა როგორც შინაარსის, აგრეთვე ინტენსივობის თვალსაზრისით. ფარული ვიდეო-აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ან/და ელექტრონული თვალყურის დევნების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება დასაშვები იყო მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, ხოლო ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი არ მოითხოვდა ამგვარ ბრძანებას. ამდენად, როგორც ცვლილებამდე არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებით, ისე მოქმედი კანონმდებლობით, მკვეთრი მიჯნაა გავლებული ვიზუალურ კონტროლსა და ელექტრონული თვალყურის დევნების, აუდიო-ვიდეოჩაწერისა და ფოტოგადაღების ფარულ საგამომძიებო მოქმედებებს შორის.

17. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქმის არსებით განხილვაზე მოწვეული საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის ლანა ცანავასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალური საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლის საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსის ამირან გულუაშვილის განმარტებები სადავო ნორმის შინაარსთან დაკავშირებით. წარმომადგენლების განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, პრაქტიკაში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების (ვიზუალური კონტროლის) ფარგლებში, არასდროს მომხდარა ფოტოგადაღება, ვიდეო ან აუდიოჩაწერა, ვინაიდან ზემოაღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს ფარულ საგამომძიებო მოქმედებებს და ყოველთვის ხორციელდება სასამართლოს წინასწარი ან შემდგომი მონაწილეობით. წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება გამომდინარეობს თავად საკანონმდებლო მოწესრიგებიდან და სხვაგვარი განმარტების საშუალებას მოქმედი კანონმდებლობა არ



იძლევა. ამირან გულუაშვილის განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებაში იგულისხმება ყველა ის საშუალება, რომელიც უკეთ იძლევა კონკრეტულ სუბიექტზე დაკვირვებისა და, გარკვეულ შემთხვევაში, შენიღბვის შესაძლებლობას, მაგალითად, ე.წ. ბინოკლი. მისი განმარტებით, ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით ვიზუალური კონტროლის განხორციელება გულისხმობს თვალთვალს იმგვარი მოწყობილობით, რომელსაც არ აქვს ფიქსაციის ფუნქცია და არ წარმოადგენს ელექტრონულ საშუალებას. იგი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ფარული დაკვირვება ხდება ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ტარდება ფარული საგამომიებო მოქმედება. ამდენად, მისი განმარტებით, ვიზუალური კონტროლის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია თვალყურის ელექტრონული საშუალებების გამოყენება, ფოტოგადაღება, ვიდეო ან/და აუდიოჩაწერა.

18. მოპასუხე მხარემ და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვიზუალური კონტროლი თავისი დანიშნულებიდან და აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დასაშვები მოქმედებების გათვალისწინებით, ვერ განხორციელდება პირის პირად სივრცეში, კერძო საკუთრებაში, იგი ყოველთვის ხორციელდება საჯარო სივრცეში პირის გადაადგილებისას.

19. იმავდროულად, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა ამირან გულუაშვილმა დააზუსტა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება და აღნიშნა, რომ იმ პირის მიმართ, რომელზეც სახალხო დამცველი მიუთითებს, ერთდროულად მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება (ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი) და ფარული საგამომიებო მოქმედება (ფარული ფოტო-ვიდეოგადაღება). მისი განმარტებით, საქმეში არსებობს მოსამართლის ბრძანება ფარულ ვიდეო-ფოტოგადაღებაზე. შესაბამისად, მოწვეულმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ არამართებულია მოსარჩელის მითითება, თითქოს პირის ვიდეო-ფოტოგადაღება მოხდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, აღნიშნული განმარტების შემდეგ მოსარჩელე მხარეს ეს ფაქტობრივი გარემოება საექვო აღარ გაუხდია.

20. საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას, ნორმის სიტყვასიტყვით და სისტემურ განმარტებასთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/522 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია საერთო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც დაადასტურებდა სადავო ნორმის მის მიერ შემოთავაზებული შინაარსით ინტერპრეტირების შესაძლებლობას. თავის მხრივ, მსგავსი პრაქტიკის არსებობის შესახებ არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არის ცნობილი.

21. ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმის როგორც სიტყვასიტყვით, ისე სისტემური ანალიზის, ასევე საჯარო დაწესებულებების მოწვეული წარმომადგენლების განმარტების საფუძველზე დგინდება, რომ კეთილსინდისიერი/გონივრული განმარტების პირობებში, ვიზუალური კონტროლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არ იძლევა ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერის, ფოტოგადაღებისა და ელექტრონული თვალყურის დევნების შესაძლებლობას. იგი გულისხმობს, საჯარო სივრცეში პირის თვალთვალს შეუიარაღებელი თვალთვალთ ან ისეთი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელსაც არ აქვს ინფორმაციის ფიქსაციის ფუნქცია და არ წარმოადგენს ელექტრონულ საშუალებას.

22. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განმარტა, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსივობის კუთხით, მნიშვნელობა არ აქვს, პიროვნების გადაადგილების, მისი მოქმედებების ასახვა მოხდება ფოტო-ვიდეოგადაღების საშუალებით, თუ ვიზუალური კონტროლის შედეგად წერილობით იქნება გადმოცემული შესაბამის ოქმში. იგი განმარტავს, რომ საჯარო სივრცეში პირზე ვიზუალური დაკვირვება, კონკრეტული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, წარმოადგენს პირად ცხოვრებაში იმგვარ ჩარევას, რომელიც საჭიროებს სასამართლო კონტროლს.

23. ამჯერად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა სახის ინფორმაცია შეიძლება იქნეს მოპოვებული ცნობების შეგროვების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცნობების შეგროვება განიმარტება, როგორც ოპერატიული მოქმედების ან გამომძიებლის მიერ



კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ისეთი ამოცანების შესასრულებლად, როგორებიცაა დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; იმ პირის ძებნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენის მიზნით, რომელიც, მიუხედავად გამოძახებისა, თავს არიდებს გამოძიების ან სასამართლოს წინაშე გამოცხადებას; ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარდებული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ან დანიშნული სასჯელის მოხდას; დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა; უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა; სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება; დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა); პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ ცნობების შეგროვება არ გულისხმობს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის შეგროვებას, არამედ იგი იძლევა პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რომლის მიმართაც მას აქვს პრივატულობის განცდა (მაგ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.).

24. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განმარტა, რა სახის ინფორმაცია შეიძლება იქნეს მოპოვებული გასაჩივრებული ღონისძიების (ცნობების შეგროვების) ფარგლებში. მისი მითითებით, გასაჩივრებული ღონისძიებების ერთ ქვეპუნქტში მოთავსება განპირობებულია იმით, რომ ხშირად, ცნობების შეგროვება ხდება სწორედ ვიზუალური კონტროლის ღონისძიების ფარგლებში, მის პარალელურად. წარმომადგენლის მითითებით, ვიზუალური კონტროლის პრაქტიკაში განხორციელება შეიძლება სპეციფიკურ ინფორმაციას საჭიროებდეს ოპერატიული სამსახურისათვის, რაც პროკურორისა და გამომძიებლისთვის არ იყოს ცნობილი და საჭირო გახდეს აღნიშნული ინფორმაციის მოძიება. ასეთ ინფორმაციას წარმოადგენს პირის საცხოვრებელი მისამართის დადგენა, ავტომობილის მფლობელის გადამოწმება, ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა, ინფორმაცია, აქვს თუ არა პირს ოფიციალურად დარეგისტრირებული შესაბამისი იარაღი. ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გადამოწმდეს, ხომ არ არის პირი დაჯარიმებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ან/და ხომ არ არის ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულისთვის. წარმომადგენლის მითითებით, „კრიმინალისტიკურ წყაროში“ შესაძლებელია, იგულისხმებოდეს თითო ანაბეჭდის გადამოწმება მონაცემთა ბაზაში. „ოპერატიულ-სამძებრო წყაროში“ იგულისხმება სხვა სამართალდამცავ უწყებაში პირის შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელიც ოპერატიული გზით სამართალდამცავ ორგანოებს შეიძლება მოეპოვებოდეთ, მაგ., ვისთან აქვს კავშირები პირს, აქვს თუ არა ქურდულ სამყაროსთან რაიმე კავშირი და ა.შ. წარმომადგენლის განმარტებით, იმის მიხედვით, რომელი დანაშაულის გამოვლენისა თუ აღკვეთის შესახებ არსებობს ინფორმაცია ან/და მიმდინარეობს გამოძიება, განსხვავებულია გამოსათხოვი ინფორმაციის ხასიათი და, შესაბამისად, მისი სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლის მითითებით, აღნიშნული ოპერატიული სამძებრო ღონისძიება გულისხმობს ისეთი ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობას, რომლის გაცემაც ოფიციალური გზით არის შესაძლებელი, სასამართლო კონტროლის გარეშე.

25. მოწვეულმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის ოფიციალური მოპოვება გულისხმობს, პროკურორის დავალებით, ინფორმაციის იმგვარად მოპოვებას, რომელიც არ არის შენიღბული რაიმე ფორმით. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მოხდეს შესაბამისი დაწესებულებისთვის წერილის გაგზავნის გზით ან მონაცემთა ბაზაში ოპერატიული მუშაკის მიერ ოფიციალურად შესვლის გზით. წარმომადგენელმა აღნიშნა ისიც, რომ „ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროში“ იგულისხმება სამსახურებრივი ბაზები, სახელმწიფო ორგანოები და შესაძლებელია კერძო ორგანიზაციებიც, ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინებით.

26. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა, თუ ამგვარი საჭიროება გაჩნდა, მისი მხრიდან უარის შემთხვევაში, ხდება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. ასევე, მისი განმარტებით, დაუშვებელია აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში მოხდეს ვიდეოკამერებით



დაფიქსირებული ჩანაწერების ამოღება და ამგვარი ინფორმაციის მოპოვება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში, რომელიც არეგულირებს კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოპოვებას და რომელიც საჭიროებს სასამართლო კონტროლს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად კი, დოკუმენტი განიმარტება, როგორც „ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნიკური საშუალებებით ვერბალურად თუ სხვა გზით (მიმოწერით) განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსზე წვდომა და მისი მოპოვება წარმოადგენს ფარული საგამომიებო მოქმედების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებას, რომელიც მოითხოვს სასამართლო კონტროლს და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების პირობებში ვერ მოხდება ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა, მისი მოპოვება.

27. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ცხადი ხდება, რომ, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, ცნობების შეგროვების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებებში, სამსახურებრივ ბაზებში და კერძო ორგანიზაციებში პირზე არსებული ინფორმაციის გამოთხოვას და არ გულისხმობს იმგვარი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ფარული საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ხორციელდება (კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოპოვება, მათ შორის, საჯარო სივრცეში განთავსებული ვიდეოჩანაწერების ამოღება, ტექნიკური საშუალებებით ვერბალურად თუ სხვა გზით (მიმოწერით) განხორციელებული კომუნიკაციის, შეტყობინების შინაარსზე წვდომა).

28. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ პირის შესახებ ზემოაღნიშნული ინფორმაციის კონკრეტული მიზნით შეგროვება, რომელიც მის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში, წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში ინტენსიურ ჩარევას და საჭიროებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დაცვას.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სადავო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებები, ზღუდავს თუ არა ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას და, შესაბამისად, საჭიროებს თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნის დაცვას.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა

30. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვიზუალური კონტროლისა და ცნობების შეგროვების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კონსტიტუციურობას სადავოდ ხდის საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

31. დასახელებული კონსტიტუციური დებულება, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, განამტკიცებს პირადი ცხოვრების კონკრეტულ/სპეციალურ უფლებრივ კომპონენტს – ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული კონსტიტუციური დებულებები, მიუხედავად ერთი შეხედვით მსგავსებისა (არეგულირებს რა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ უფლებრივ კომპონენტებს), ფუნქციურად განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, ზოგადად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც, თავის თავში მოიცავს, მათ შორის, პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს და განავითაროს პირადი ცხოვრება, ჰქონდეს კავშირი ოჯახის წევრებთან, დაამყაროს კომუნიკაცია მესამე პირებთან, მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან და ა.შ., საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიზანია პირის პირადი სივრცის და კომუნიკაციის ანონიმურობის/კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა ანუ ადამიანის პირადი ცხოვრების იმ სფეროების გამჭვავებისგან დაცვა, სადაც ან/და რომლის მიმართაც ამ უკანასკნელს პრივატულობის ობიექტური მოლოდინი გააჩნია (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო



სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, სპეციფიკური ხასიათისაა და გარეშე პირებისგან უფლების სუბიექტის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას/პრივატულობას უზრუნველყოფს. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას იწვევს ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელიც, რაიმე ფორმით, ზღუდავს პირად სივრცესა და კომუნიკაციას, გარეშე პირებს აძლევს შესაძლებლობას, პირის თანხმობის გარეშე, ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ისეთ სფეროსა და ინფორმაციაზე, რომლის მიმართაც პირს აქვს ანონიმურობისა და ხელშეუხებლობის განსაკუთრებული ინტერესი და მოლოდინი. პრივატულობისა და კონფიდენციალობის გონივრულ მოლოდინს და ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საკითხი ეხება პირის ცხოვრების იმგვარ სფეროს (ადგილს, ურთიერთობებს, თემებს), რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა მესამე პირებისგან ანონიმურს, განკერძოებულს ხდის ან მხოლოდ განსაზღვრულ პირთა წრისთვის ასაჯაროებს. ბუნებრივია, კონკრეტულ სივრცეში განმარტობისას, სასურველ პირთა წრეში ყოფნისას/კომუნიკაციისას პირს ვერ ექნება მოლოდინი იმისა, რომ იგი ექვემდებარება დაკვირვებას იმ მესამე პირებისგან, რომლებიც მან საკუთარი ავტონომიური სივრცის მიღმა დატოვა. გარეშე პირების ინტერვენციისაგან უზრუნველყოფილი გარემო პირს უქმნის განკერძოებულობის შეგრძნებას, მყარ განცდას და მოლოდინს იმისა, რომ ასეთ გარემოში გაცვლილი ინფორმაცია, შეხედულებები, შთაბეჭდილებები, პირის ქცევა, ნაკლოვანებები, მისწრაფებები, სურვილები თუ მანერები, ტექნიკური თუ სხვა საშუალებებით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსი სხვისთვის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ და იმ დოზით, როდესაც და რა ფარგლებშიც პირი თავად გახდის ასეთ ინფორმაციას ხელმისაწვდომს. ამდენად, სახელმწიფო პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას არღვევს მაშინ, როდესაც პირის ავტონომიურ, კერძო სივრცეში შეჭრის გზით, პირის ნებისგან დამოუკიდებლად, როგორც პირდაპირ, ისე ფარული გზით მოიპოვებს პირად ინფორმაციას, რომლის მიმართაც ინდივიდს აქვს გაუმჟღავნებლობის ობიექტური მოლოდინი. შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლების დამცავი ზოგადი დებულებისგან (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი) განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დაცული სფერო შემოიფარგლება პირის კერძო (როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ) სივრცეში არსებული პირადი ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვით. მაშინ, როდესაც სახელმწიფო საჯარო სივრციდან იჭრება პირის კერძო სივრცეში, ირღვევა პრივატულობის გონივრული მოლოდინი და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

33. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმა ადგენს ვიზუალური კონტროლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილებას. როგორც უკვე დადგინდა, ვიზუალური კონტროლის ფარგლებში, პირი ფოტოგადაღების, ვიდეო-აუდიოჩანაწერის, ელექტრონული თვალყურის დევნების გარეშე ექვემდებარება თვალთვალს საჯარო ადგილებში ყოფნისას, გადაადგილებისას. აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში, შესაბამისი ოპერატიული მუშაკი საჯარო სივრცეში აკვირდება პირს შეუიარაღებელი თვალთვალთ ან ისეთი ტექნიკური საშუალების გამოყენებით (მაგ., ბინოკლით), რომელსაც არ აქვს ინფორმაციის ფიქსაციის ფუნქცია. ამდენად, მოცემული ღონისძიების ფარგლებში, არ ხდება პირის თვალთვალთ მის კერძო, პირად სივრცეში შეჭრის გზით, არამედ იგი საჯარო ადგილებში გადაადგილებისას/ყოფნისას ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან დაკვირვებას.

34. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ პირზე დაკვირვება ხდება საჯარო სივრცეში, არ ტოვებს მას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით დაცული უფლების ფარგლებს გარეთ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია არ შემოიფარგლება ურთიერთობათა მხოლოდ შიდა წრით, არამედ იგი მოიცავს სხვა ადამიანებთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას. ადამიანები თავიანთ პირად ცხოვრებას არ ავითარებენ მხოლოდ კერძო სივრცეში, ოჯახის წევრებთან თუ განსაზღვრულ პირთა წრესთან ურთიერთობისას, ისინი ყოველდღიურად, კერძო სივრცის მიღმა, თვითგამოხატვას ახდენენ საზოგადოებაში, სასურველ და მისაღებ სოციალურ ავლენენ საკუთარ სურვილებს, მისწრაფებებსა და ჩვევებს გარკვეული ქცევითა თუ მანერით. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, თანამედროვე სამყაროში, ადამიანების სულიერი,



ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური თუ სხვა ინტერესების დაკმაყოფილება სულ უფრო მზარდი ხდება საჯარო აქტივობებით, სხვადასხვა დაწესებულებებში სტუმრობის, სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობისა თუ სასურველ სოციუმში მოხვედრის გზით. შესაბამისად, საჯარო სივრცე ხელს უწყობს პირადი ცხოვრების არაერთი ასპექტით სრულყოფილად სარგებლობას, ქმნის სხვადასხვა უნარების აღმოჩენისა და განვითარების შესაძლებლობას და, უფრო მეტიც, შესაძლებელია, მეტი დანიშნულებაც ჰქონდეს ადამიანის პირადი ცხოვრების განვითარებისთვის, ვინაიდან გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, შეუძლებელია პიროვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება.

35. იმავდროულად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების საფუძვლებს და მათი განხორციელების ვადებს. საგულისხმოა, რომ რიგი საფუძვლების შემთხვევაში, განსაზღვრული არ არის კონკრეტული ვადა, ხოლო ცალკეულ საფუძველთან მიმართებით (მაშინ, როდესაც არ არსებობს გამოძიების დასაწყებად საკმარისი ინფორმაცია), ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რაც, მათ შორის, მოიაზრებს ვიზუალურ კონტროლს, შესაძლებელია, გაგრძელდეს 12 თვემდე ვადით. საგულისხმოა ისიც, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (მათ შორის, ვიზუალური კონტროლი) შესაძლებელია განხორციელდეს ფარულ-საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად, რაც ასევე არ არის შეზღუდული კონკრეტული ვადით, გარდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტისა. ამდენად, პირი შესაძლებელია, ხანგრძლივი დროით დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან ვიზუალურ კონტროლს.

36. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო სივრცეში გადაადგილებისას, პირზე ხანგრძლივი დაკვირვება იძლევა შესაძლებლობას, დადგინდეს პირის ყოველდღიური გადაადგილების მარშრუტი, დროებითი ან მუდმივი ადგილსამყოფელი, სოციალური ურთიერთობები და გარემოცვა (ის, თუ პირს ვისთან, როდის, რა ხანგრძლივობითა და ინტენსივობით აქვს კომუნიკაცია). ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, სახელმწიფოსთვის, შესაძლებელია ცნობილი გახდეს პირის პირადი მახასიათებლები, ყოველდღიური ჩვევები, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებები, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ. აღნიშნული მონაცემების მოგროვება და შეკრება, რიგ შემთხვევებში, არანაკლები ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს ინდივიდის შესახებ, ვიდრე ცალკეული კომუნიკაციის შინაარსი და ინფორმაციულობის ხარისხის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებოდეს უშუალოდ ტელეკომუნიკაციის შედეგად გაცვლილ ინფორმაციას. ბუნებრივია, პირის ცხოვრების ცალკეული დეტალები განკერძოებულად შესაძლებელია არ ქმნიდეს ადამიანის პროფილის დეტალური წარმოდგენის საშუალებას, თუმცა ამგვარი მონაცემების შეგროვება და გაანალიზება იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს ინდივიდის პერსონალური პროფილის შექმნა, გაკეთდეს გარკვეული დასკვნები მისი ცხოვრების წესისა და დამოკიდებულებების შესახებ და დეტალური წარმოდგენა შეიქმნას ადამიანის პირადი სივრცის არაერთი ასპექტის თაობაზე, მათ შორის, ყველაზე კერძო, ინტიმურ სფეროზე.

37. საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და ფლობა ადამიანის პირად ცხოვრებაში საკმაოდ მკაცრ, ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს და ამგვარი მონაცემების შეგროვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სათანადო მყარი საკანონმდებლო გარანტიების პირობებში, რაც გამორიცხავს უფლებაში თვითნებურ ჩარევას და ინდივიდის პირადი ცხოვრების იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

38. მეორე მხრივ, საჯარო სივრცეში გადაადგილებისას, პირი თავად, თავისი ნების შესაბამისად, ექცევა საზოგადოების დაკვირვების ქვეშ და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მისი ქმედებები შემჩნეული იქნება საზოგადოების სხვა წევრების მიერ. საჯარო სივრცეში თითოეული ადამიანი შეზღუდულია, სულ მცირე, სხვათა პატივისცემის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის ვალდებულებით, რამაც შესაძლოა, დააკორექტიროს მისი ქმედებები. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია იმის მტკიცება, რომ პირს საჯარო სივრცეში ყოფნისას/გადაადგილებისას აქვს განკერძოებულობისა და პრივატულობის იმგვარი შეგრძნება და მოლოდინი, როგორც ავტონომიურ, კერძო სივრცეში ყოფნისას ექნებოდა. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში, საჯარო სივრცეში ინდივიდზე დაკვირვების გზით, კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით, მასზე ინფორმაციას შეიძლება აგროვებდნენ სხვადასხვა კერძო პირები (მაგალითად, კერძო დეტექტივები, ჟურნალისტები) თავიანთი საგამოძიებო ან სხვა პროფესიული აქტივობების ფარგლებში. შესაბამისად, ინდივიდები საჯარო სივრცეში ყოფნისას თუ გადაადგილებისას იმ დაშვებით მოქმედებენ, რომ ისინი არ იმყოფებიან პრივატულ სივრცეში და ექვემდებარებიან საზოგადოების სხვა წევრებისგან დაკვირვებას და სწორედ ამ დაშვების გათვალისწინებით, ახდენენ საკუთარი ქცევის კორექტირებას საზოგადოების აზრის,



სახელმწიფო კონტროლისა თუ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. იმავდროულად, ვიზუალური კონტროლის ფარგლებში, სახელმწიფო არ ახდენს პირის კერძო სფეროში ინტერვენციას, პირზე ინფორმაციის მოპოვება არ ხდება მის კერძო სივრცეში შეჭრის გზით თუ კომუნიკაციის შინაარსზე წვდომის მეშვეობით და იგი რჩება საჯარო სივრცის ფარგლებში. ამდენად, სადავო ღონისძიება, თავისი არსით, განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ნაწილს და მისი მოქმედებით არ ხდება ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში.

39. ცნობების შეგროვების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებებში, სამსახურებრივ ბაზებში ან კერძო ორგანიზაციებში პირზე არსებული ინფორმაციის გამოთხოვას. აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არ გულისხმობს იმგვარი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ხორციელდება (კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოპოვება, მათ შორის, საჯარო სივრცეში განთავსებული ვიდეოჩანაწერების ამოღება, ტექნიკური საშუალებებით ვერბალურად თუ სხვა გზით (მიმოწერით) განხორციელებულ კომუნიკაციის, შეტყობინების შინაარსზე წვდომა). აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შეიძლება, მოხდეს პირის საცხოვრებელი მისამართის დადგენა, ავტომობილის მფლობელის გადამოწმება, ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა, აქვს თუ არა პირს ოფიციალურად დარეგისტრირებული იარაღი, არის თუ არა სამართალდამრღვევი ან/და ხომ არ არის ნასამართლევი კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ასევე შეიძლება, მოხდეს სხვა სამართალდამცავ უწყებაში პირის შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება, რომელიც, ოპერატიული გზით, სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ მიღებული, მაგ., ვისთან აქვს კავშირები პირს, აქვს თუ არა ქურდულ სამყაროსთან რაიმე კავშირი და ა.შ. შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაულის გამოვლენისა თუ აღკვეთის შესახებ არსებობს ინფორმაცია ან/და მიმდინარეობს გამოძიება, განსხვავებული შეიძლება იყოს გამოსათხოვი ინფორმაციის ხასიათი და მოცულობა. ამდენად, სადავო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში, ხდება პირის შესახებ უკვე არსებული და შენახული ინფორმაციის მოძიება ან გამოთხოვა სხვადასხვა დაწესებულებებიდან.

40. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოექცეს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ იგი ფარულად თუ პირდაპირ მოიპოვოს პირის კერძო, ავტონომიურ სფეროში ინტერვენციის გზით. სადავო ნორმა არ ადგენს პირის კერძო სივრცეში ჩარევის, პირადი კომუნიკაციის ინფორმაციაზე წვდომის საკანონმდებლო საფუძველს. აღნიშნული ნორმის ფარგლებში, პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება არ ხდება მის პირად სივრცეში (საცხოვრებელში, დროებით თუ მუდმივ სამყოფელში, პირად მფლობელობაში) შეღწევის გზით, პირისპირ თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. სახელმწიფო, აღნიშნული ნორმის ფარგლებში, უფლებამოსილია, სხვადასხვა დაწესებულებებიდან გამოითხოვოს ან სამსახურებრივი ბაზებიდან თავად მოიპოვოს პირის შესახებ საჭირო ინფორმაცია ანუ ისეთი ინფორმაცია, რომელიც პირის ნებისგან დამოუკიდებლად უკვე არსებობს, არ არის მის კერძო/პრივატულ სივრცეში და აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება არ საჭიროებს მის თანხმობას.

41. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციაზე სახელმწიფოს ხელმისაწვდომობის საკითხები, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში პირის შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება/გამოთხოვა და შეგროვება, თავისი არსით, განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ნაწილს და სადავო ღონისძიების ფარგლებში არ ხდება ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში.

42. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს.

III

სარეზოლუციო ნაწილი



საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არ დაკმაყოფილდეს №1630 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).
2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

